

შპს „გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტი“

დამტკიცებულია რექტორის მიერ

ბრძანება № 01-01/65 10 დეკემბერი 2013 წ.

სამაგისტრო ნაშრომის მომზადებისა და
დაცვის წესი

თბილისი
2013 წ.

მუხლი 1. სამაგისტრო ნაშრომის მიზანი

1. სამაგისტრო ნაშრომი წარმოადგენს სამეცნიერო-კვლევით ნაშრომს, რომელიც უნდა შეასრულოს სტუდენტმა სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში და დაიცვას სამაგისტრო ნაშრომის დაცვის კომისიის ღია სხდომაზე.
2. სამაგისტრო ნაშრომის მოცულობაა მინიმუმ 40 გვერდი.
3. სამაგისტრო ნაშრომის მიზანია სწავლის პროცესში მიღებული დარგობრივი ცოდნის სისტემატიზაცია, კვლევითი, პრაქტიკული, შემოქმედებითი უნარების გამოვლენა, კერძოდ:
 - დარგის/ქვედარგის ღრმა და სისტემური ცოდნა, მათ შორის ისეთი სპეციფიკური მეთოდების/საკითხებისა, რომელთა ძირითადი ნაწილიც ასახავს კვლევაზე დაფუძნებულ ახალ ცოდნას ან/და პროფესიულ პრაქტიკას;
 - სტუდენტმა სამაგისტრო ნაშრომში უნდა შეძლოს კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტის ახალი, ორიგინალური გზების მოძიება; უნდა გამოავლინოს კვლევის დამოუკიდებლად განხორციელების უნარი უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით, რთული და არასრული ინფორმაციის (მათ შორის უახლესი კვლევების) კრიტიკული ანალიზის საფუძველზე დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბების უნარი, მონაცემებზე დაყრდნობით ინფორმაციის ინოვაციური სინთეზი;
 - ნაშრომში შემოქმედებითად უნდა იყოს გამოყენებული თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, დარგის თავისებურებების გათვალისწინებით;
4. სამაგისტრო ნაშრომისათვის მინიჭებულ კრედიტების რაოდენობას ფაკულტეტები განსაზღვრავენ დამოუკიდებლად, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

მუხლი 2. სამაგისტრო ნაშრომის თემა

1. სამაგისტრო ნაშრომი, როგორც წესი, დამოუკიდებელი კვლევის განხორციელების პირველი მნიშვნელოვანი მცდელობაა, ამდენად სასურველია, რომ სტუდენტმა რაც შეიძლება ადრე შეარჩიოს სამაგისტრო ნაშრომის თემა.
2. სამაგისტრო თემის შერჩევას წინ უნდა უძღოდეს მაგისტრანტისა და იმ პროფესორის მოსაზრებათა შეჯერება, რომელიც შემდგომ უხელმძღვანელებს მის სამაგისტრო ნაშრომს. ამისათვის მაგისტრანტს შეუძლია ისარგებლოს პროფესორის საკონსულტაციო საათებით.
3. სამაგისტრო ნაშრომის თემის გამოკვეთა და იდეის დაკონკრეტება უნდა მოხდეს სწავლების მესამე სემესტრის დასაწყისში. ამავე დროს განისაზღვრება თემის სათაურის სამუშაო ვერსია.
4. სამაგისტრო ნაშრომის დაზუსტებული თემა მტკიცდება სწავლების მეორე წელს, მეოთხე სემესტრის დაწყებისთანავე.
5. შერჩეულ საკვლევ თემას ფაკულტეტის საბჭოს წარდგინებით ამტკიცებს რექტორი.

მუხლი 3. მაგისტრანტის ხელმძღვანელი

1. სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელს ირჩევს მაგისტრანტი.
2. სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელს, ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე ამტკიცებს უნივერსიტეტის რექტორი.
3. მაგისტრანტის ხელმძღვანელი უნდა იყოს გთსუ-ს პროფესორი, ასოცირებული პროფესორი. ხელმძღვანელად შესაძლებელია, აგრეთვე, დოქტორის ხარისხის მქონე მოწვეული პედაგოგის დანიშვნაც.
4. სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობისას ორ მიმიჯნავე სპეციალობაში შეიძლება მოწვეული იქნეს კონსულტანტი.
5. ხელმძღვანელი ვალდებულია:
 - ა. დაეხმაროს მაგისტრანტს თემის შერჩევაში, გეგმის შედგენასა ბიბლიოგრაფიის დამუშავებაში;
 - ბ. პერიოდულად შეამოწმოს თემაზე მუშაობის მიმდინარეობა, გამოთქვას შენიშვნები და გაუწიოს შესაბამისი კონსულტაციები;
 - გ. განუმარტოს მაგისტრანტს მისი უფლება-მოვალეობები და მოსთხოვოს მათი დაცვა;
 - დ. გაუწიოს კონსულტაციები მაგისტრანტს ინდივიდუალური გეგმის შედგენაში და აკონტროლოს მისი შესრულება.
 - ე. ნაშრომის დასრულების შემდეგ მოამზადოს წერილობითი დასკვნა, რომელშიც ასახული უნდა იყოს:
 - ნაშრომის სათაური;
 - მაგისტრანტის ვინაობა;
 - ნაშრომის მოკლე მიმოხილვა და მისი ძლიერი და სუსტი მხარეები;
 - მაგისტრანტის შრომისუნარიანობა და სხვა უნარ-თვისებები;
 - შრომის ზოგადი შეფასება (ნიშნის გარეშე);
 - ნაშრომის შინაარსის შესაბამისობა სამაგისტრო სპეციალობასთან;
 - დასკვნა, ნაშრომის საჯარო დაცვაზე დაშვება-არდაშვების შესახებ.
6. ხელმძღვანელს უფლება აქვს უარი თქვას ხელმძღვანელობაზე. ამ შემთხვევაში მან გონივრულ ვადაში, წერილობით, სათანადო არგუმენტაციით უნდა მიმართოს ფაკულტეტის საბჭოს, რომელიც განიხილავს უარის საფუძველს, აგრეთვე უარის განაცხადის ვადის გონივრულობას და დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში ამტკიცებს ახალ ხელმძღვანელს.
7. თუ ფაკულტეტის საბჭო არ ეთანხმება ხელმძღვანელის უარის საფუძველს, ან/და უარის განაცხადის ვადა შეუძლებელს ხდის ახალი ხელმძღვანელის დანიშვნას და მის მიერ მოვალეობის შესრულებას, ხელმძღვანელი ვალდებულია გააგრძელოს და კეთილსინდისიერად შეასრულოს მასზე დაკისრებული მოვალეობა.

მუხლი 4. სამაგისტრო ნაშრომის შეფასება

1. სამაგისტრო ნაშრომის შეფასება ეფუძნება შეფასების 100 ქულიან სისტემას, რომელიც გულისხმობს ხუთი სახის დადებით და ორი სახის უარყოფით შეფასებას:

ქულა (მაქსიმალური შეფასების %)	შეფასება
91% და მეტი	A - ფრიადი
81-90%	B - ძალიან კარგი
71-80%	C - კარგი
61-70%	D - დამაკმაყოფილებელი
51-60%	E - საკმარისი
41-50%	Fx - ვერ ჩააბარა
40% და ნაკლები	F - ჩაიჭრა

2. სამაგისტრო ნაშრომის შეფასება ხორციელდება შუალედური და დასკვნითი შეფასებების საფუძველზე და წარმოადგენს მათ ჯამს:

	შუალედური შეფასება	60 ქულა
კომპონენტები		
I.	ნაშრომის წინასწარი განხილვა (წინასწარი დაცვა)	30
II.	რეცენზენტის შეფასება	30
	დასკვნითი შეფასება	40 ქულა
კომპონენტები		
III.	სამაგისტრო ნაშრომის საჯარო დაცვა	40
სულ	სამაგისტრო ნაშრომის საბოლოო შეფასება	100 ქულა

მუხლი 5. შუალედური შეფასება

I კომპონენტი: ნაშრომის წინასწარი განხილვა

1. სამაგისტრო ნაშრომის საჯარო დაცვამდე სულ მცირე ერთი თვით ადრე ინიშნება მისი წინასწარი განხილვა (წინასწარი დაცვა).
2. ნაშრომი წარმოდგენილ უნდა იქნეს შესაბამისი კათედრის/პროგრამული მიმართულების სხდომაზე წინასწარი განხილვისთვის;
3. წინასწარი განხილვისათვის არ არის აუცილებელი ნაშრომის აკინძული სახით წარმოდგენა.

4. წინასწარი განხილვისათვის მაგისტრანტი აკეთებს მოხსენებას კათედრის/პროგრამული მიმართულების სხდომაზე.
5. კათედრის/პროგრამული მიმართულების წევრები (არანაკლებ სამისა) აფასებენ წინასწარი განხილვის შედეგებს შემდეგი კრიტერიუმებით:

N	კრიტერიუმები	მაქსიმალური შეფასება 30 ქულა
1.	კვლევის დამოუკიდებლად განხორციელების უნარი უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით ▪ მაგისტრანტმა წარმატებით გამოავლინა კვლევის დამოუკიდებლად განხორციელების უნარი, იყენებს უახლეს მეთოდებსა და მიდგომებს ▪ მაგისტრანტმა დამაკმაყოფილებლად გამოავლინა კვლევის დამოუკიდებლად განხორციელების უნარი. იყენებს უახლეს მეთოდებსა და მიდგომებს ▪ მაგისტრანტი სათანადოდ ვერ ავლენს კვლევის დამოუკიდებლად განხორციელების უნარს	15 ქულა 11-15 5-10 0-4
2.	კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტის ახალი/ორიგინალური გზების მოძიება, რთული ინფორმაციის კრიტიკული ანალიზი და დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბება ▪ სტუდენტმა წარმატებით შეძლო კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტის ახალი/ორიგინალური გზების მოძიება, რთული ინფორმაციის კრიტიკული ანალიზი და დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბება ▪ სტუდენტმა დამაკმაყოფილებლად შეძლო კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტის ახალი/ორიგინალური გზების მოძიება, რთული ინფორმაციის კრიტიკული ანალიზი და დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბება ▪ სტუდენტმა სათანადოდ ვერ გაართვა თავი კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტის ახალი/ორიგინალური გზების მოძიებას, რთული ინფორმაციის კრიტიკულ ანალიზსა და დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბებას	15 ქულა 11-15 5-10 0-4

II კომპონენტი: რეცენზენტის შეფასება

1. კათედრა/პროგრამული მიმართულება გამოყოფს სამაგისტრო ნაშრომის რეცენზენტს.
2. რეცენზენტი შეიძლება იყოს, როგორც სასწავლო უნივერსიტეტის თანამშრომელი, ისე გარეშე პირი.
3. რეცენზენტი უნდა იყოს მხოლოდ შესაბამისი პროფილის სამეცნიერო (ან აკადემიური) ხარისხის მქონე პირი.
4. რეცენზენტს ნაშრომი უნდა გადაეცეს დაცვამდე არაუგვიანეს 15 დღით ადრე;
5. რეცენზენტი დაცვამდე 5 დღით ადრე წარმოადგენს ნაშრომის შეფასებას (მაქსიმუმ 30 ქულით) წინასწარ დადგენილი კრიტერიუმების საფუძველზე.
6. რეცენზენტის დასწრება საჯარო დაცვაზე არ არის სავალდებულო, თუმცა კომისიას ან მაგისტრანტს შეუძლია მისი მოწვევა.
7. შუალედურ შეფასებებში 11 ქულაზე ნაკლები შეფასების მიღების შემთხვევაში მაგისტრანტი სამაგისტრო ნაშრომის შეფასების დასკვნით ეტაპზე არ დაიშვება.

რეგენზენტის შეფასების კრიტერიუმები

N	კრიტერიუმები	მაქსიმალური შეფასება 30 ქულა
1.	თემის აქტუალობა, ქართული და უცხოური ლიტერატურის მიმოხილვა, კვლევის მეთოდოლოგია - თემა აქტუალურია, დამუშავებულია რელევანტური, თანამედროვე და მდიდარი ლიტერატურული, მათ შორის უცხოურენოვანი წყაროები; მაგისტრანტმა წარმატებით გამოავლინა კვლევის დამოუკიდებლად განხორციელების უნარი, იყენებს უახლეს მეთოდებსა და მიდგომებს - თემა აქტუალურია, დამუშავებულია საკმარისი, რელევანტური, თანამედროვე ლიტერატურა, მათ შორის უცხოურენოვანი წყაროები; მაგისტრანტმა დამაკმაყოფილებლად გამოავლინა კვლევის დამოუკიდებლად განხორციელების უნარი; გამოყენებული მეთოდოლოგია ადეკვატურია. - თემა აქტუალურია, თუმცა ეფუძნება მწირ წყაროებს; მაგისტრანტი სათანადოდ ვერ ავლენს კვლევის დამოუკიდებლად განხორციელების უნარს; გამოყენებული მეთოდოლოგია ადეკვატურია.	10 ქულა 7-10 3-6 0-2
2.	კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტის ახალი/ორიგინალური გზების მოძიება, რთული ინფორმაციის კრიტიკული ანალიზი და დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბება - სტუდენტმა წარმატებით შეძლო კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტის ახალი/ორიგინალური გზების მოძიება, რთული ინფორმაციის კრიტიკული ანალიზი და დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბება - სტუდენტმა დამაკმაყოფილებლად შეძლო კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტის ახალი/ორიგინალური გზების მოძიება, რთული ინფორმაციის კრიტიკული ანალიზი და დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბება - სტუდენტმა სათანადოდ ვერ გაართვა თავი კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტის ახალი/ორიგინალური გზების მოძიებას, რთული ინფორმაციის კრიტიკულ ანალიზსა და დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბებას	10 ქულა 7-10 3-6 0-2
3.	ნაშრომის შესრულების დონე - ნაშრომი შესრულებულია მაღალ აკადემიურ დონეზე, გამართული ქართულით, აზრები მკაფიოდ და ნათლადაა ჩამოყალიბებული; არგუმენტაცია დამაჯერებელია; მაგისტრანტმა გამოავლინა კვლევის საკითხის ღრმა და სისტემური ცოდნა - ნაშრომის აკადემიური დონე დამაკმაყოფილებელია, შეინიშნება ენობრივი ხარვეზები, აზრებს აკლია სიცხადე; არგუმენტაცია დამაჯერებელია; მაგისტრანტმა გამოავლინა კვლევის საკითხის დამაკმაყოფილებლად ცოდნა - ნაშრომი შესრულებულია სერიოზული ენობრივი ხარვეზებით, აზრები ბუნდოვანია არგუმენტაცია არადამაჯერებელია; მაგისტრანტი სათანადოდ ვერ ერკვევა კვლევის საკითხში; ნაშრონის აკადემიური დონე დაბალია	10 ქულა 7-10 3-6 0-2
	რეგენტენტის შეფასება	-----

მუხლი 6. დასკვნითი შეფასება -სამაგისტრო ნაშრომის წარდგენა და საჯარო დაცვა

- დასკვნითი შეფასების კომპონენტია სამაგისტრო ნაშრომის წარდგენა და საჯარო დაცვა;

2. წინასწარი განხილვის შემდეგ დაცვამდე 1 კვირით ადრე მაგისტრანტი საბოლოოდ დასრულებულ სამაგისტრო ნაშრომს ელექტრონულ ვერსიასთან (CD) ერთად წარადგენს შესაბამის კათედრაზე/პროგრამულ მიმართულებაზე;
3. სამაგისტრო ნაშრომი უნდა იყოს აკინძული (ყდაში ჩასმული).
4. სამაგისტრო ნაშრომს უნდა ახლდეს ხელმძღვანელის წერილობითი დასკვნა, შეფასების (ქულის) გარეშე.
5. სამაგისტრო ნაშრომის დაგვიანებით წარდგენის შემთხვევაში სტუდენტი დაცვაზე არ დაიშვება.
6. სამაგისტრო ნაშრომის დაცვა ხდება საჯაროდ, რექტორის ბრძანებით დამტკიცებული კომისიის წინაშე, რომელიც შედგება მინიმუმ 5 წევრისაგან. კომისიას ჰყავს თავმჯდომარე და მდივანი. კომისიის წევრი შეიძლება იყოს მაგისტრანტის ხელმძღვანელიც.
7. სამაგისტრო ნაშრომის დაცვაზე ხდება მაგისტრანტის მიერ კვლევის შედეგების ზეპირი პრეზენტაცია, რომელიც ფასდება კომისიის თითოეული წევრის მიერ (მაქიმუმ 40 ქულა). ამ კომპონენტში მაგისტრანტის შეფასება იანგარიშება კომისიის ყველა წევრის შეფასების საშუალო არითმეტიკულით;
8. მიღებული შეფასება დადებითად ითვლება, თუ კომისია მაგისტრანტის ნაშრომის დაცვას შეფასებს 20 და მეტი ქულით.
9. სამაგისტრო ნაშრომის დაცვაზე გამოუცხადებლობის შემთხვევაში, სტუდენტს უფლება აქვს, დამატებით ერთხელ გავიდეს ნაშრომის დაცვაზე.
10. სამაგისტრო ნაშრომის დაცვის პროცესი აისახება ოქმში, რომელსაც ადგენს კომისიის მდივანი. ოქმს ხელს აწერს კომისიის ყველა წევრი.
11. ოქმს თან უნდა ერთვოდეს რეცენზენტის შეფასების უწყისი და კომისიის მიერ დაწერილი დასკვნითი შეფასების უწყისი, რომელსაც ხელს აწერს კომისიის ყველა წევრი.
12. ოქმი და უწყისი წარედგინება ფაკულტეტს და შეფასება შედის მაგისტრანტის სასწავლო ბარათში.
13. სამაგისტრო ნაშრომები გადაეცემა არქივს.

მუხლი 7. სამაგისტრო ნაშრომის საბოლოო შეფასება

1. სამაგისტრო ნაშრომის საბოლოო შეფასება წარმოადგენს ნაშრომის წინასწარი განხილვის, რეცენზენტის მიერ დაწერილი ქულისა და კომისიის დასკვნითი შეფასებების ჯამს.
2. სამაგისტრო ნაშრომი დაცულად ჩაითვლება და მაგისტრანტს შესაბამისი კრედიტი მიენიჭება, თუ მის მიერ მიღებული საბოლოო შეფასება ტოლია ან მეტი 51 ქულის.
3. სამაგისტრო ნაშრომის არადამაკმაყოფილებლად (FX) შეფასების შემთხვევაში, სტუდენტს ეძლევა სამაგისტრო ნაშრომის დაცვაზე დამატებით გასვლის უფლება.

4. თუ საბოლოო შეფასება შეადგენს 40 და ნაკლებს (F) სტუდენტი სამაგისტრო ნაშრომის დაცვაზე დამატებით არ დაიშვება და მის სემესტრულ შეფასებად ჩაითვლება "F" (ჩაიჭრა) შესაბამისი ქულით.

მუხლი 8. სამაგისტრო ნაშრომის დაცვის პროცედურა

1. სამაგისტრო ნაშრომის დაცვის კომისიის უფლებამოსილების ცნობის შემდეგ სტუდენტი იწყებს სამაგისტრო ნაშრომის დაცვას.
2. სამაგისტრო ნაშრომის საჯარო დაცვის პროცედურა ითვალისწინებს:
 - სამაგისტრო ნაშრომის წარდგენას (15 წუთი)
 - კითხვა-პასუხს
 - დისკუსიას
 - დაცვის შეფასება
3. სამაგისტრო ნაშრომის შეფასების დროს სხდომა დამსწრეთათვის იხურება.
4. სამაგისტრო ნაშრომის დასკვნითი შეფასება წარმოადგენს კომისიის თითოეული წევრის მიერ მინიჭებული ქულების საშუალო არითმეტიკულს და ხორციელდება შემდეგი კრიტერიუმების საფუძველზე:

N	სამაგისტრო ნაშრომის საჯარო დაცვის (ზეპირი პრეზენტაციის) შეფასების კრიტერიუმები	მაქსიმალური შეფასება 40 ქულა
1.	პრეზენტაციის სტრუქტურა	5 ქულა
	▪ პრეზენტაციის სტრუქტურა (შესავალი, ძირითადი ნაწილი და დასკვნები) კარგად არის დაბალანსებული და ლოგიკურია	4-5
	▪ პრეზენტაციის სტრუქტურა (შესავალი, ძირითადი ნაწილი და დასკვნები) დაბალანსებულია დამაკმაყოფილებლად	2-3
	▪ პრეზენტაციის სტრუქტურა დაუბალანსებელი და ნაკლებად ლოგიკურია	0-1
2.	ნაშრომის შინაარსი	10 ქულა
	▪ კვლევის საკითხი და პრობლემები, გამოყენებული თეორიები, მეთოდები, მონაცემები/ფაქტები, ანალიტიკური მიდგომები და დასკვნები აუდიტორიას მიეწოდება ნათლად, მკაფიოდ და დამაჯერებლად	7-10
	▪ კვლევის საკითხი და პრობლემები, გამოყენებული თეორიები, მეთოდები, მონაცემები/ფაქტები, ანალიტიკური მიდგომები და დასკვნები აუდიტორიას მიეწოდება ნაკლებად ნათლად, მკაფიოდ და დამაჯერებლად	3-6
	▪ კვლევის საკითხი და პრობლემები, გამოყენებული თეორიები, მეთოდები, მონაცემები/ფაქტები, ანალიტიკური მიდგომები და დასკვნები აუდიტორიას მიეწოდება ბუნდოვნად	0-2
3.	აუდიტორიასთან კონტაქტი	8 ქულა
	▪ მთელი პრეზენტაციის მანძილზე სტუდენტს აქვს აუდიტორიასთან კონტაქტი	6-8
	▪ სტუდენტი ვერ ინარჩუნებს აუდიტორიასთან კონტაქტს მთელი პრეზენტაციის განმავლობაში	2-5
	▪ სტუდენტი ვერ ამყარებს კონტაქტს აუდიტორიასთან	0-1
4.	გამოყენებული მასალა, პრეზენტაციის ტექნოლოგია	7 ქულა
	▪ პრეზენტაციისათვის გამოყენებულია მრავალფეროვანი, რელევანტური, ინფორმატიული მასალა, რაც მიწოდებულია ეფექტურად. სტუდენტი კარგად ფლობს ვიზუალური პრეზენტაციის ტექნოლოგიას	6-7

	პრეზენტაციისათვის გამოყენებულია რელევანტური მასალა, რაც მიწოდებულია ნაკლებად ეფექტურად. სტუდენტი დამაკმაყოფილებლად ფლობს ვიზუალური პრეზენტაციის ტექნოლოგიას	2-5
	პრეზენტაციისათვის გამოყენებული მასალა მწირია, ვიზუალური პრეზენტაციის ტექნოლოგიას სუსტად ფლობს	0-1
5.	კითხვებზე პასუხი, დისკუსია	10 ქულა
	სტუდენტის პასუხები მართებული და არგუმენტირებულია, რაც ადასტურებს საკითხის კარგად ცოდნას. დისკუსიის დროს კორექტული და დამაჯერებელია.	7-10
	სტუდენტის პასუხები დამაკმაყოფილებელია, აკლია არგუმენტირება და დამაჯერებლობა. ვერ ადასტურებს საკითხის კარგად ცოდნას. დისკუსიის დროს კორექტულია.	2-6
	სტუდენტის პასუხები არადამაჯერებელი და/ან არამართებულია.	0-1

მუხლი 9. სამაგისტრო ნაშრომის დამატებითი დაცვა

- სტუდენტს უფლება აქვს დამატებით დაცვაზე გავიდეს იმავე სემესტრში, პირველი დაცვიდან არანაკლებ 10 დღის შემდეგ.
- უარყოფითი სემესტრული შეფასების მიღებისას სტუდენტს უფლება აქვს მომდევნო ორი წლის განმავლობაში შეასრულოს სამაგისტრო ნაშრომი. სტუდენტი ვალდებულია უნივერსიტეტში დადგენილი წესით და ოდენობით თვით დააფინანსოს ნაშრომის ხელახალი მომზადება-დაცვა.
- სტუდენტი, რომელმაც ვერ დაიცვა სამაგისტრო ნაშრომი, სწავლების თეორიული კურსის დამთავრების შემდეგ მიეცემა სათანადო მოწმობა (აკადემიური ცნობა) სასწავლო კურსების, მიღებული შეფასებების და კრედიტების მითითებით. აკადემიური რეგისტრაციის გაუვლელობის შემთხვევაში მას შეუჩერდება სტუდენტის სტატუსი.

მუხლი 10. პლაგიატი

- პლაგიატი (plagiat) ლათ.-მიტაცებული) ნიშნავს ნაშრომში სხვათა მოსაზრებების, ფრაზებისა და წინადადებების, სტატისტიკური მონაცემების, კვლევის შედეგების და სხვა. გამოყენებას არასათანადო წესებით (ნაბეჭდი ან ელექტრონული წყაროს მითითების გარეშე).
- პლაგიატი შეიძლება იყოს განზრახული ან უყურადღებობით დაშვებული.
- პლაგიატის აღმოჩენის ნებისმიერ შემთხვევაში სტუდენტი არ დაიშვება დაცვაზე, ან იხსნება დაცვიდან, რაც ფორმდება, როგორც უარყოფითი სემესტრული შეფასება. სტუდენტს უფლება აქვს მომდევნო ორი წლის განმავლობაში შეასრულოს ახალი სამაგისტრო ნაშრომი. სტუდენტი ვალდებულია უნივერსიტეტში დადგენილი წესით და ოდენობით თვით დააფინანსოს ნაშრომის ხელახალი მომზადება.

მუხლი 11. სამაგისტრო ნაშრომის გაფორმება

სამაგისტრო ნაშრომის გაფორმება უნდა მოხდეს „სტუდენტის წერიტი ნაშრომის შესრულების სტანდარტის“ შესაბამისად.

მუხლი 12. სამაგისტრო ნაშრომის მომზადებისა და დაცვის წესის დამტკიცება

სამაგისტრო ნაშრომის მომზადებისა და დაცვის წესს ამტკიცებს რექტორი .